ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 4-1/ე 176-14 08 05 2014 წ.

დადგენილება №000520
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

08.05.2014წ. ქ.თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ უჩა ზაქაშვილმა განვიხილე 2014 წლის 26 მარტის №000520 მითითება და 2014 წლის 17 აპრილის №000520 შემოწმების აქტი შედგენილი **შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ის** (მის: ქ. თბილისი, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, საკ. კოდი №01.14.14.005.116) მიმართ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 49-ე მუხლის „ა" პუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, საკ. კოდი №01.14.14.005.116-ში შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უსაფრთხოების წესების დარღვევით, კერძოდ, დარღვეულია უსაფრთხოების წესების შესახებ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №62 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები – ტერიტორია სრულყოფილად არ არის შემოღობილი დროებითი სამშენებლო ღობით, შესაბამისად სამშენებლო მოედანზე შესვლა არ არის კონტროლირებადი და არ არის გამორიცხული იქ უნებლიე მოხვედრის შესაძლებლობა. ქვაბულის ფერდის დამუშავებისას ჩამოშლილია ფერდის და გასამაგრებელი კედლის ნაწილი. ასევე დარღვეულია მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით გათვალისწინებული ქვაბულის კედლის გამაგრების მოწყობის თანმიმდევრობა. შეცვლილია კედლის კონფიგურაცია და ფერდის გასამაგრებელი ლითონის კონსტრუქციული ელემენტების მოწყობა.

სამსახურის სპეციალისტის მიერ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2014 წლის 26 მარტს შედგენილ იქნა მითითება №000520 რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა უსაფრთხოების წესების დასაცავად.

2014 წლის 17 აპრილს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000520, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. კერძოდ,

სამშენებლო მოედანზე არ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების მოთხოვნები, ასევე სამშენებლო სამუშაოები არ მიმდინარეობს ორგანიზაციის პროექტით გათვალისწინებული თანმიმდევრობით.

2014 წლის 30 აპრილს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ის დირექტორი აკაკი გრძელიშვილი (პირადი №01008025909), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე აღნიშნა, რომ მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები შესრულდა, მხოლოდ დარჩენილია თუნუქის ღობე, რომლის მოწყობასაც აპირებს და მოითხოვა საქმისწარმოების გადადება.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მთ. სპეციალისტის ი. ჩიტაძის 2014 წლის 08 მაისის მოხსენებითი ბარათით დასტურდებდა, რომ ქ. თბილისში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, საკ. კოდი №01.14.14.005.116-ში მდებარე ობიექტის გადამოწმების შედეგად დადასტურდა, რომ შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ის მიერ ობიექტზე სრულყოფილად არ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხოების წესები. აღდგენილია მხოლოდ 2014 წლის 26 მარტის №000520 მითითებაში აღნიშნული ჩამოშლილი ფერდის და გასამაგრებელი ფერდის ნაწილი, ხოლო მითითებაში აღნიშნული სხვა დარღვევები არ არის გამოსწორებული. ამასთანავე, დღეისმდგომარეობით ობიექტზე ჩამოშლილია ფერდის სხვა ნაწილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ის მიერ ჩადენილია "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 49-ე მუხლის „ა" პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, საკ. კოდი №01.14.14.005.116-ში შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ის მიერ მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა უსაფრთხოების წესების დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2007 წლის 28 მარტის №62 დადგენილებით "მშენებლობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ", "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 49-ე მუხლის "ა" პუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33" დაჯარიმდეს 3.000 (სამიათასი) ლარით ქ. თბილისში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, საკ. კოდი №01.14.14.005.116-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობაზე უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის;

2. შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ს დაევალოს ქ. თბილისში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, საკ. კოდი №01.14.14.005.116-ში მდებარე სამშენებლო მოედანზე უსაფრთხოების წესების დაცვა;

3. შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ს დაევალოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

4 საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის" საქართველოს კოდექსის 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე **შ. ზაქაშვილი**

საგადახდო დავალება
Payment Order

1 GEL

თარიღი / Date: 13/09/2014

ს.ს. "თიბისი ბანკის" ჭავჭავაძის გამზირის სკ #1

რეფერენსი / Ref. Num.

1086563199

გადამხდელი / Sender

შპს ჭავჭავაძის 33 - 406088807

გადამხდელის ანგარიში/ Sender's Account GE35TB7061736050100002

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის სასარგებლოდაც სრულდება გადახდა

Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს ჭავჭავაძის 33

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 406088807

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. / Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank /Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

თანხა / Amount

3,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად

Amount in words

სამი ათასი ლარი 00 თეთრი

შესრულების თარიღი / Operation Date

13/09/2014

ბანკში შემოსვლის თარიღი /Received

13/09/2014

ხელმოწერა

Signature

შტამპის ადგილი

ხელმოწერები

Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

9/13/2014 1:20:32 PM 1086563199

მაია გოგიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/9469-14

"12" 09 2014 წ.

დადგენილება №000724
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

12.09.2014წ. ქ. თბილისი, შარტავას 7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ დავით მედულაშვილმა განვიხილე 2014 წლის 26 აგვისტოს №000724 მითითება და 2014 წლის 11 სექტემბრის №000724 შემოწმების აქტი, შედგენილი **შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ის** (დირ. აკაკი გრძელიშვილი (პირადი №01008025909), საიდენტიფიკაციო კოდი №406088807, მის: ქ. თბილისი, ქ. წამებულის გამზ. №78, ბ. №11) მიმართ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, საკ. კოდი №01.14.14.005.116-ში შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1087304 AR1182977 20.01.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: -13.20 ნიშნული: "6-8" და "ბ-გ" მონაკვეთების გადაკვეთასთან დამატებით მოწყობილია ლითონის მილი. +0.00 ნიშნული: ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების გაბარიტი. "11-11" და "ზ-ზ" ღერძის გადაკვეთასთან შეცვლილია კოლონის კონფიგურაცია. +6.15 და +9.45 ნიშნულები: "6-8" და "ბ-დ" მონაკვეთების გადაკვეთასთან ფილა გაზრდილია სიგანეში, რის ხარჯზეც მომატებულია ფართი ორივე სართულზე, დაახლოებით 60მ^2-ით. +12.75 ნიშნული: აღნიშნულ ნიშნულზე და ზევით "6-6" ღერძის მარცხვნივ აივნები შემცირებულია სიგრძეში. ±0.00 ნიშნულის ქვევით დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. "6-8" და "ბ-გ" მონაკვეთების გადაკვეთასთან შეცვლილია კედლის კონფიგურაცია, ასევე არ არის მოწყობილი კოლონები. შეცვლილია კოლონების გაბარიტი. "8-8" და "დ-დ" ღერძების გადაკვეთასთან შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტები. კოლონები ნაწილობრივ შემცირებულია სიგრძეში, ასევე ნაწილობრივ დამატებით მოწყობილია რიგელები. საძირკვლის ფილა ნაწილობრივ შეცვლილია საკვლევრო წითელ ხაზებს.

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2014 წლის 26 აგვისტოს შედგენილ იქნა მითითება №000724, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 15 (თხუთმეტი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2014 წლის 11 სექტემბერს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000724, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა. კერძოდ, არ არის გამოსწორებული შემდეგი დარღვევები - +0.00 ნიშნული: ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების გაბარიტი. "11-11" და "ზ-ზ" ღერძის გადაკვეთასთან შეცვლილია კოლონის კონფიგურაცია. +6.15 და +9.45 ნიშნულები: "6-8" და "ბ-დ" მონაკვეთების გადაკვეთასთან ფილა გაზრდილია სიგანეში, რის ხარჯზეც მომატებულია ფართი ორივე სართულზე, დაახლოებით 60მ^2-ით. +12.75 ნიშნული: აღნიშნულ ნიშნულზე და ზევით "6-6" ღერძის მარცხვნივ აივნები შემცირებულია სიგრძეში. ±0.00 ნიშნულის ქვევით დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. "6-8" და "ბ-გ" მონაკვეთების გადაკვეთასთან შეცვლილია კედლის კონფიგურაცია, ასევე არ არის მოწყობილი კოლონები. შეცვლილია კოლონების გაბარიტი. "8-8" და "დ-დ" ღერძების გადაკვეთასთან შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტი. პილონები ნაწილობრივ შემცირებულია სიგრძეში, ასევე ნაწილობრივ დამატებით მოწყობილია რიგელები.

საქმეშია, შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ის დირექტორის აკაკი გრძელიშვილის განცხადება №12/14255534-16 12.09.2014წ., რომლითაც მხარე ეთანხმება №000724 შემოწმების აქტს. ამასთანავე, მოცემული განცხადებით მხარეს აფიქსირებს, რომ აპირებს პროექტის კორექტირებას და ითხოვს კანონით გათვალისწინებული ზომების გატარებას, საქმეზე მისი დასწრების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ის მიერ ჩადენილია საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, საკ. კოდი №01.14.14.005.116-ში შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ის მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის ს.ს.ი.პ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1087304 AR1182977 20.01.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევი: +0.00 ნიშნული: ნაწილობრივ შეცვლილია ღიობების გაბარიტი. "11-11" და "ზ-ზ" ღერძის გადაკვეთასთან შეცვლილია კოლონის კონფიგურაცია. +6.15 და +9.45 ნიშნულები: "6-8" და "ბ-დ" მონაკვეთების გადაკვეთასთან ფილა გაზრდილია სიგანეში, რის ხარჯზეც მომატებულია ფართი ორივე სართულზე, დაახლოებით 60მ^2-ით. +12.75 ნიშნული: აღნიშნულ ნიშნულზე და ზევით "6-6" ღერძის მარცხვნივ აივნები შემცირებულია სიგრძეში. ±0.00 ნიშნულის ქვევით დამატებით მოწყობილია მონოლითური კედლები. "6-8" და "ბ-გ" მონაკვეთების გადაკვეთასთან შეცვლილია კედლის კონფიგურაცია, ასევე არ არის მოწყობილი კოლონები. შეცვლილია კოლონების გაბარიტი. "8-8" და "დ-დ" ღერძების გადაკვეთასთან შეცვლილია ლიფტის შახტის გაბარიტი. პილონები ნაწილობრივ შემცირებულია სიგრძეში, ასევე ნაწილობრივ დამატებით მოწყობილია რიგელები.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო

პირობების შესახებ", საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ. ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33" დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ს დაევალოს საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

. საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ჭავჭავაძის 33"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე **ლ. მედულაშვილი**



საგადახდო დავალება
Payment Order

1 GEL

თარიღი / Date: 13/09/2014

ს.ს. "თიბისი ბანკის" ჭავჭავაძის გამზირის სკ #1

რეფერენსი / Ref. Num.

1086563065

გადამხდელი / Sender

შპს ჭავჭავაძის 33 - 406088807

გადამხდელის ანგარიში/ Sender's Account GE35TB7061736050100002

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank | ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი | TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის ძალითაც სრულდება გადახდა

Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს ჭავჭავაძის 33

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 406088807

მიმღები / Receiver

ს.ზ.ის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. / Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank /Treasury | ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური | TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

თანხა / Amount

4,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად

Amount in words

ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

შესრულების თარიღი / Operation Date

13/09/2014

ბანკში შემოსვლის თარიღი /Received

13/09/2014

ხელმოწერა

Signature

შტამპის ადგილი

ხელმოწერები

Signatures

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული ბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

9/13/2014 1:19:52 PM 1086563065 მაია გოგიაშვილი